მოსაზრებები საქართველოში სამთო ტურიზმის განვითარების პოტენციალის შესახებ

ზაირა ღუდუშაური
სტუ-ს პროფესორი
E-mail: Zaira.gudushauri@mail.ru
ელისაბედ ბალიაშილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
E-mail: Elza_b2008@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში – ***„მოსაზრებებელი საქართველოში სამთო ტურიზმის განვითარების პოტენციალის შესახებ“*** განხილულია საქართველოს მთიანი მხარეები – თუშეთი, სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი და სხვები, და ზოგად ფორმატში აღწერილია მათი ბუნებრივი სიმდიდრეები საჭირო სამთო ტურიზმის მოსაწყობად.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საქართველოს ერთ-ერთ მთიან მხარეში, კერძოდ, სვანეთში ჩატარებულ ინიციატივებს სამთო ტურიზმის ტერიტორიების დაკვალვის და მარშრუტების მოწყობის მიმართულებით.

სტატიაში პოზიტიურ ნაბიჯად არის მიჩნეული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სასაზღვრო სამთო რაიონებში სოფლების აღდგენის და გაშენების შესახებ. სტატიის ავტორები თვლიან, რომ ამ გადაწყვეტილებაშივე უნდა მოიაზრებოდეს ამ სოფლების მოსახლეობის დასაქმება სამთო ტურიზმის სხვადასხვა სახეობებში, რადგან მასზე მეტ შემოსავალს მათ არანაირი სხვა დარგი არ მისცემთ.

საკვანძო სიტყვები:
ტურიზმი
ტურისტი
მთიანეთი
ტურისტული რესურსი
სამთო ტურიზმი
დასაქმება

შესავალი

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 20-30% დაუსაქმებელია. ოფიციალურად სოფლის მოსახლეობა დასაქმებულად ითვლება, რადგან მათ მიეცათ რაღაცა რაოდენობის მიწის ფართობები კერძო საკუთრებაში, მაგრამ სოფლებიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია და სოფლების დაცლა უკვე იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობას გაუჭირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ მთის სოფლის მაცხოვრებლები. ამიტომ საქართველოს მთიანეთი, რომელზეც გადის საქართველოს საზღვრებიც, თითქმის გაუკაცრიელდა.

მოცემულ სტატიაში შემოგთავაზებთ ჩვენს მოსაზრებებს სამთო ტურიზმის განვითარების შესახებ, რომელიც დაასაქმებს მთის სოფლების მოსახლეობას და ამ ადგილებში გამოასწორებს მძიმე სოციალურ მდგომარეობას.

1. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში

დღეს, არავისთვის აღარ არის საკამათო, რომ ტურიზმი არის ეკონომიკის ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი დარგი. მასზე მოდის მსოფლიოში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 10,9%, მსოფლიო ინვესტიციების 11,7%, ყოველი მე-16 სამუშაო ადგილი, მსოფლიო სამომხმარებლო ხარჯების 11% და მსოფლიოს ქვეყნების ხაზინაში ტურიზმიდან შედის 302 მლრდ დოლარი [1, გვ. 2].

ტურიზმი სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია. იგი მრავალი სახელმწიფოს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სამთო ტურიზმი. ევროპის მოსახლეობის 50% მთაში დასვენებას და მოგზაურობას ანიჭებს უპირატესობას [2, გვ. 431].

ტურიზმის გავლენის სფერო განუწყვეტლივ ფართოვდება. მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტების მიერ გამოთვლილია, რომ XXI საუკუნეში ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა იქნება.

ტურიზმს ახასიათებს [1, გვ. 26-27]:

- პოლიტიკური მნიშვნელობა (აახლოებს სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს ერთმანეთთან,

რაც ხელს უწყობს მათ შორის მშვიდობას);

- კულტურული მნიშვნელობა (ეცნობიან რა სხვადასხვა ქვეყნების კულტურას, მათ ადათ-წესებს, ცხოვრებას, ამით მაღლდება ტურისტების კულტურის დონე);
- ბიოლოგიური მნიშვნელობა (ტურისტები ისვენებენ სუფთა, ჯანმრთელ გარემოში და ამით ისინი იკაჟებენ ორგანიზმს);
- ეკონომიკური მნიშვნელობა (ტურიზმი სთავაზობს მოსახლეობას დასაქმებას და აქედან გამომდინარე შემოსავლებს);
- სოციალური მნიშვნელობა (ტურიზმით ადამიანები აღიდგენენ შრომისუნარიანობას, ქმნის სამუშაო ადგილებს;
- ჰუმანიტარული მნიშვნელობა (ტურიზმი აფართოებს ადამიანების ცოდნას, ამაღლებს მათ ინტელექტს).

ყოველივე ზემოთნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებისთვის ძალზე დიდია და მისი რესურსი – ცოტა აქვს იგი, თუ ბევრი – აუცილებლად უნდა გამოიყენოს ყველა ქვეყანამ.

2. სამთო ტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში

საქართველო ძირითადად მთა-გორიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის 63% მთიანეთია. საქართველოს რეგიონები და რეგიონის ნაწილები – სვანეთი, აჭარის და ჯავახეთის მთიანეთი, მთიულეთი და ხევი, რაჭა-ლეჩხუმი, მთათუშეთი, ხევსურეთი და ფშავი, ეს ის ადმინისტრაციული რაიონებია, რომლებიც ნაკლებგამოსადეგია ეკონომიკის ტრადიციული დარგების განსავითარებლად.

მთიანეთის პრობლემა ყველა ქვეყანას აწუხებს. ამიტომ ბოლო 20-30 წელიწადია მთიანეთის პრობლემატიკა, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, სულ უფრო აქტიურად მუშავდება. ნიშანდობლივია, რომ ამ მხრივ, წინა პლანზე გამოდის მთის არამარტო ეკოლოგიური თუ რეკრეაციული ასპექტები, არამედ მთაში მობინადრე მოსახლეობის განზომილებები – მეურნეობის დარგის არჩევა და გაძღოლა, ცხოვრების წესი, დეპოპულაციის შეჩერება და სხვა.

ძველად, საქართველოს მთიანეთში მოსახლეობის 10-12% ცხოვრობდა. ისინი ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და ბარის ქალაქებს ამარაგებდნენ ხორცით, რძით და რძის პროდუქტებით. ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესების გამო, საქართველოს მთიანეთი თითქმის დაიცალა მოსახლეობისგან. იქ მოსახლეობის 1-2 პროცენტიდა დარჩა. თითო სოფელში 1-3 ოჯახი თუ ცხოვრობს და ისინიც მხოლოდ ნატურალურ მეურნეობას ეწევიან და ოჯახის სამყოფ პროდუქტს აწარმოებენ.

ასეთ დროს, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებს, როგორც ჩვენი, ისე ცნობილი უცხოელი ექსპერტების შეფასებით, აქვთ უნიკალური ტურისტული რესურსების უაღრესად დიდი მარაგი და მთელი წლის განმავლობაში მათი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. ეს რესურსები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ტურიზმის სამთო, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სათავაგადასავლო სხვადასხვა სახეობების (სამთო-სათხილამურო ტურიზმი, მთასვლელობა, მეკლდეურობა, სათხილამურო ირაიტინგი და ფრისტალი, სამთო-ველოსახეობები, რაფტინგი, პარაპლანერიზმი და სხვა) განვითარებისთვის, რაზეც მსოფლიოში დიდი მოთხოვნაა.

მთიანი რაიონები ყველგან განეკუთვნებიან ეკონომიკურად დეპრესირებულ ზონებს. ასეა საქართველოშიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთიან რაიონებში ტრადიციული დარგების განსავითარებლად მეტად მწირი რესურსებია, მაგრამ საქართველოს მთიანეთი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ამ მხრივ, ჩვენ ქვეყანას გამორჩეული შესაძლებლობები არგუნა განგებამ, კერძოდ: თითქმის ყველა კლიმატური ზონა-სუბტროპიკულიდან მარადიული ყინულით მოცულ მწვერვალამდე; უნიკალური, ჩვენამდე პირველყოფილი სახით მოღწეული ფლორა და ფაუნა; რეკრეაციული პოტენციალი (სუფთა ჰაერი, მზის ნათება, ქვიშა, წყაროს წყლები, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები); ლამაზი ლანდშაფტები (კლდოვანი მასივები, ჩანჩქერები, ტბები, ალპური მდელოები, ტყე და ტყეპარკები) და მრავალი სხვა.

საქართველოსთვის განსაკუთრებულ რეკრეაციულ რესურსს ბუნებრივი ტყეები და ტყეპარკები წარმოადგენენ. უკანასკნელ პერიოდში ტყეების რეკრეაციული მნიშვნელობა მეტად გაიზარდა. სტრესები იწვევენ ადამიანებში განტვირთვის მოთხოვნილებას. აქ უპირველესი როლი ტყეს და მთას ენიჭება, რადგან დადგენილია, რომ 1 ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში ასუფთავებს 18 მლნ კუბომეტრ ჰაერს და მას 30-60 ტონა მტვერს აცლის. ამასთან, ტყეში ცხელ ამინდში საგრძნობლად გრილა, რადგან შეცვლილია მზის რადიაცია.

საქართველოს ტერიტორიის 40% ტყეს უკავია [3, გვ. 66]. დღეისათვის საქართველოში გვაქვს 18 სახელმწიფო ნაკრძალი (მ. შ. 10 მთიან რაიონებში), 5 ეროვნული პარკი (მ. შ. 2 მთიან რაიონებში), 11 აღკვეთილი (მ. შ. 2 მთიან რაიონში),

3 ბუნების ძეგლი,1 დაცული ლანდშაფტი (თუშეთში) და 5 სავარაუდო დაცული ტერიტორია (მ. შ. 3 მთიან რაიონებში). ამ ნაკრძალებს 462676,5 ჰექტარი უკავია. ეს არ არის მცირე ფართობი და მათი ტურიზმის განვითარებისთვის გამოყენება მოსახლეობასაც დაასაქმებს და მთასაც და ბარსაც დიდ შემოსავალს მისცემს. თუმცა, ცხადია, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ამ ნაკრძალებში ტურიზმის ის სახეობები მოეწყოს და თან ისე მოეწყოს, რომ არ დაზარალდეს იქ არსებული ფლორა და ფაუნა. ამ კუთხით რეკომენდაციას ვაძლევთ ეკოტურიზმს და საოჯახო ტურიზმს. ეკოტურიზმი იცავს გარემომცველ სამყაროს. ტურიზმის ეს სახეობა არ მოითხოვს დიდძალ ინვესტიციებს და თანაც, იგი დიდად მოთხოვნადია შემოსულ ტურისტებს შორის.

რაც შეეხება საოჯახო ტურიზმს, იგიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს. უცხოელ ტურისტებს აინტერესებთ ქართული მთის სოფლების ყოფა. სვანეთის, რაჭის და თუშეთის მთის სოფლების რამდენიმე მოსახლემ უკვე ოჯახური სასტუმროები გააკეთეს და მათ ყოველ წელს ფაქტიურად ერთი და იგივე დამსვენებლები სტუმრობენ. ისინი ამ სასტუმროებში არა მხოლოდ ისვენებენ, არამედ როგორც ოჯახის წევრები საოჯახო საქმეებში მონაწილეობენ და ამით მეტად ბედნიერად გრძნობენ თავს. საოჯახო ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა მთის სოფლებში სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალებების მოწესრიგება და ამ საქმით დაინტერესებულ ოჯახებისთვის შეღავათიანი კრედიტების მიცემა. ასევე მეტად საჭიროა უცხოეთის ქვეყნებში კარგად განვითარებული რეკლამა [3, გვ. 144].

მთის სოფლებში კარგია "კარვების ქალაქების" მოწყობა, სადაც ახალგზრდობა დაისვენებს. ამის ორგანიზაცია მართვის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა ითავონ. მათ უნდა გამოყონ საამისოდ გამოსადეგი სოფლები და იქონიონ გასაქირავებელი კარვებიც და ყველა საჭირო დასასვენებელი მოწყობილობაც. და, თუ ჩვენ სხვადასხვა საჭირო საშუალებების გაფართოებას ადგილზე მოვაწყობთ, ისინი თვითონ გაუკეთებენ ორგანიზებას რაფტინგს, ფრისტალს, ირაიტინგს და სხვას. იგივე შეუძლია გააკეთოს სოფელმაც – საერთო ხარჯებით და დამსვენებელთა საერთო მომსახურებით.

ეს იდეა ყველა მთის სოფელს მოეწონება, მაგრამ იდეას მიწოდება, შემდეგ ორგანიზება და შემდეგ რეკლამირება სჭირდება. ჩვენი აზრით, ამაშიც სოფლებს მართვის ადგილობრივი ორგანოები უნდა თანაუდგნენ. ამის გარეშე, ეს საქმე არ აეწყობა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა საბაზრო ეკონომიკას. ეს განსაკუთრებით ეხება მთის სოფლების მოსახლეობას. მათ არ იციან რა აკეთონ, როგორ აკეთონ და ვისთვის აკეთონ. ამიტომ საჭიროა იდეაც მივაწოდოთ და საქმის ორგანიზებაშიც დავეხმაროთ.

მაგრამ არის ერთი მეტად დიდი პრობლემა. ის სოფლები, სადაც სამთო-ტურიზმი უნდა განვითარდეს, დაცლილია მოსახლეობისგან. მაგალითად, პირიქითა ხევსურეთში, საზღვრისპირა, როშკიდან 25 კმ-ის დაშორებულ სოფელ ახიელში მუდმივად მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს – წიკლაური ჯარჯი მეუღლით და ორი 18-19 წლის ვაჟებით. იქ ჩასული უცხოელისთვის, რომელმაც ფეხით უნდა გაიაროს ეს 25 კმ, რადგან სამანქანო გზა არ არის, მასპინძელიც და გიდიც ჯარჯის ოჯახია. ჯარჯიმ და მისი ოჯახის წევრებმა არცერთი უცხო ენა არ იციან – რუსულიც კი. უცხოელები კი მას ხშირად სტუმრობენ. ასეთ მდგომარეობაში არა მარტო სოფელი ახიელია და არა მარტო ხევსურეთი. ასეთი სოფლები თავისი ძალებით ვერაფერს გააკეთებენ.

მისასალმებელია, რომ 2015 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ დაიწყო საზღვრისპირა სოფლების გაშენების პროგრამაზე მუშაობა. საქართველოს საზღვრები მთებზე გადის. თუ იქ არსებულ სოფლებს მოსახლეობა დაუბრუნდა და თან ახალი სოფლებიც გაშენდება, რისთვისაც მთავრობა სოლიდური მოცულობის ინვესტიციის გამოყოფას აპირებს, მაშინ სამთო ტურიზმიც განვითარდება.

ჩვენი აზრით, ამ პროგრამაში თავიდანვე უნდა გაირკვეს არა მხოლოდ სოფლების გაშენების საკითხი, არამედ, დასაქმების ორგანიზების საკითხიც. პრიორიტეტი ტურიზმს უნდა მიეცეს, პროგრამის კონტექსტში უნდა მოხდეს:

- არსებული ტურისტული რესურსების დეტალური აღწერა;
- ტერიტორიების დაკვალვა და სამთო-ტურისტული მარშრუტების შედგენა;
- სოფლის მოსახლეთაგან გიდების მომზადება;
- ტურისტებისთვის საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის განვითარება, კვების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ რადგან, საქართველოს მთავრობამ თუმც დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო მთაზე ზრუნვა, ეს სამთო ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვასაც ნიშნავს. მწვანე გზა ქონებოდეს ამ სამთავრობო ინიციატივას!

დასკვნა

მიმოვიხილეთ რა საქართველოს მთიანეთის ზოგადი ტურისტული პოტენციალი, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ იქ სამთო ტურიზმის თითქმის ყველა სახის განვითარების დიდი შესაძლებლობები არსებობს. საქართველოს მთა ფაქტიურად ყამირია ასეთი ტურიზმის განსავითარებლად. რაფტინგის განსავითარებლად გამოდგება არაგვი, რიონი, ენგური, ცხენისწყალი, თერგი და სხვები (განსაკუთრებით სათავეებში). მდინარე ენგურის აუზში 320 კმ-ზე გადაჭიმული მყინვარებია, მათი გამოყენება ზაფხულშიც კი სამთო-სათხილამურო ტურიზმის მოსაწყობად შეიძლება და მრავალი სხვა.

ასე რომ, საქართველოს მთიანეთში ტექნიკურად სრულიად შესაძლებელია სამთო ტურიზმის განვითარება, მთავარია იყოს საქართველოს მთავრობის პოლიტიკური ნება და სათანადო მოცულობის ინვესტიციები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხზე საქართველოს მთავრობის ნება უკვე არის. რაც შეეხება ინვესტიციებს, თუ ამ პროექტს ევროპა-ამერიკაში სათანადო რეკლამა მიეცემა, უცხოელი ინვესტორები სიამოვნებით დააფინანსებენ მას, რადგან სხვა დარგებისგან განსხვავებით, უკუგება სწრაფად ექნებათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2014.
2. გაბუნია დ., ქართველიშვილი გ., ხანთაძე ჯ., საქართველოს მთიანეთის ტურისტული რესურსების ეფექტურად ათვისების ზოგიერთი ასპექტი, წიგნში – საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, თბ., 2010.
3. მეტრეველი მ., ტურიზმი, თბ., 2003.

REFERENCE:

1. Nadiarashvili G., Jangulashvili D., Introduction to Tourism, Tbilisi, 2014, p 25
2. Gabunia D., Kartvelishvili G., Khantadze J., Some Aspects of Effectively Employing Georgian Touristic Resources – Challenges of Social and Economic Development of Mountainous Regions of Georgia and their Solutions, Tbilisi, 2010, p 431
3. Family touristic business (Organization and management peculiarities), Tbilisi, 2005 (online source)
4. Metreveli M., Tourism, Tbilisi., 2003, p 66

SOME STRATEGIES FOR GEORGIAN MOUNTAIN TOURISM DEVELOPMENT

ZAIRA GHUDUSHAURI
Professor of GTU
E-mail: Zaira.gudushauri@mail.ru
ELZA BALIASHVILI,
Associate (Visiting) Professor of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: Elza_b2008@yahoo.com

Summary

The article describes mountainous resorts of Georgia such as Tusheti, Khevsureti, Racha, Svaneti and others and their natural resources that can contribute to mountain tourism development in Georgia.

The special emphasis is made on recent initiatives taken with respect to setting tracks and planning routes in mountains.

The authors positively evaluate government's decision about restoring and resettling mountain villages situated near the borders. According to the authors, these initiatives should also include offering new jobs through developing mountain tourism, which is believed to be the most effective source of revenue for the local population.